



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 818

თბილისი

„19“ 09 2017

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №579 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო თემაზე შექმნილი ფოტო კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების დამტკიცებისა და ფოტო ნამუშევრების შესარჩევი კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის N616 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2017 წლის 19 სექტემბრის N1107375 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №579 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო თემაზე შექმნილი ფოტო კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების დამტკიცებისა და ფოტო ნამუშევრების შესარჩევი კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის N616 ბრძანებაში და ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

----- 19.09.2017 /ნინო ვერისელაშვილი/

შეთანხმებულია:


სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

-----/ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

-----/ეკატერინე მაჩიტაძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

-----/დავით ლომინაშვილი/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

-----/მამუკა ბერიძე/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსთან/უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

-----/ვალერიან გობრონიძე/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
3. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
5. შიდა აუდიტის დეპარტამენტს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №579 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო თემაზე შექმნილი ფოტო კონკურსის საკონკურსო პირობები

1. ფოტო ნამუშევრების კონკურსში მონაწილეობის მიზნით, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://tbilisciencefestival.ge/> ბრძანების გამოცემისთანავე განთავსდება აპლიკაციის ელექტრონული ფორმა, რომელზეც ნამუშევრების წარდგენის ვადა განისაზღვრება 2017 წლის 17 ივლისიდან 1 სექტემბრის 24:00 საათამდე. ნამუშევრების წარდგენის დამატებითი ვადა განისაზღვრება 2017 წლის 19 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის 24:00 საათამდე.

2. კონკურსი მოიცავს ორ შესარჩევ ეტაპს. პირველ ეტაპზე გამოვლინდება საუკეთესო 40 ნამუშევარი, რომელთა ექსპოზიცია განხორციელდება ფესტივალის მსვლელობის დროს. მეორე ეტაპზე 40 საუკეთესო ნამუშევარს შორის გამოვლინდებიან გამარჯვებულები ორ ნომინაციაში:

ა) ნომინაცია – „სამეცნიერო თემაზე შექმნილი ფოტო ნამუშევარი/სერია“ – ერთი გამარჯვებული კონკურსანტი;

ბ) ნომინაცია – „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016-ის ამსახველი საუკეთესო ფოტო ნამუშევარი“ – ერთი გამარჯვებული კონკურსანტი.

3. თითოეულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოში სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი 1 ფოტოსურათი ან რამდენიმე ფოტოსურათისგან (მაქსიმუმ 5 ფოტო) შემდგარი სერია; კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ორ – TIFF და JPG ფორმატებში: JPG ფორმატში შესრულებული ფოტო უნდა იყოს ზომით 2-5 მეგაბაიტი.

4. ფოტო ნამუშევრების კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017-ის დახურვის ცერემონიისას გადაეცემათ ფულადი ჯილდოები:

ა) პირველ ნომინაციაში გამოვლენილ კონკურსანტს 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი;

ბ) მეორე ნომინაციაში გამოვლენილ კონკურსანტს - 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამით განსაზღვრული მიზნებისათვის გამოიყენოს ამ დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსანტების ფოტო ნამუშევრები.